MES 6 20 0000869709

21/09/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით, **2020 წლის 7 სექტემბერს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ლაღიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინოონასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" და სამაგისტრო პროგრამის " გამოყენებითი ბიომეცნიერებები" ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტისდირექტორის მოადგილე;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;

ირაკლი კოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ანა გვრიტიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:

ირაკლი შარაბიძე - რექტორი;
ირაკლი კაცაძე -რექტორის პირველი მოადგილე;
აბდულ კახიძე - რექტორის მოადგილე;
მანუჩარ ლორია - რექტორის მოადგილე;
ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რუსუდან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
თეიმურაზ ჩოხარაძე - ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
მიხეილ ლეჟავა - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი;
რომან მამულაძე - ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ია მოსაშვილი
ნინო გორგოშაძე

სხვა დამსწრე პირები:

ანა ქოიავა - სტენოგრაფისტი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნუგზარ სხირტლაძემ. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. **სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს არ ერთ წევრს ან განუცხადებია თვითაცლება.
სხდომის თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ისინი მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N430463 ბრძანების თანახმად შეიქმნა მონიტორინგის ექპერტთა ჯგუფი და ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში განხორციელდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-6 სტანდარტთან მიმართებაში. რეკომენდაციები, რომელიც გაცემული იყო კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით, განხილული იქნა სწორედ ამ სტანდარტის ჭრილში და აისახა შესაბამისად. მასალების გაცნობის შემდეგ დადგა ინტერვიურების საჭიროება, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და უნივერსიტეტის ორგანიზებით და მხარდაჭერით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა დოკუმენტები უნივერსიტეტიდან, რომელთა მიწოდება მოხდა დროულად.
2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე გაკეთებულ ანგარიშში, უნივერსიტეტმა წარმოადგინა სახეცვლილი რეკომენდაციები, რომელთა შესრულების აღწერა და შეფასება იქნა წარმოდგენილი. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშის 6.1 კომპონენტის ნაწილში არ ჩანდა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ამ ნაწილში გაცემული რეკომენდაცია, არამედ განხილული იყო 6.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია. თვითშეფასების 6.2 კომპონენტში კი გაანალიზებული იყო ავტორიზაციის ექსპერტების მიერ 4.2 და 7.4 კომპონენტებში გაცემული ის რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა დაწესებულების კვლებით საქმიანობას. ასევე, ანგარიშის 6.3. კომპონენტის ნაწილში გაანალიზებული იყო ავტორიზაციის ექსპერტების მიერ 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია, ნაცვლად 6.3-ში გაცემული რეკომენდაციისა. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ინსტიტუციის მიერ ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება, ასევე შეისწავლა და გაითვალისწინა გარემოებები, რომელიც ასახული იყო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში მე-6 სტანდარტთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები მე-6 სტანდართან მიმართებით, რომლის შესრულების შესახებაც განხორციელდა მონიტორინგი და ინფორმაცია იმაზე, თუ რამდენად შესრულდა აღნიშნული რეკომენდაციები.

- აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომ დაეხმაროს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სწავლაში, რამდენადაც ისინი არიან მოქმედი მეზღვაურები და საჭიროებენ ინდივიდუალურ პროგრამებს - **ნაწილობრივ შესრულებულია;**
- აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც შესაძლებელს გახდის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვას კვლევით პროექტებში, სამაგისტრო ნაშრომებზე ეფექტური ზეგავლენის მიზნით - **ნაწილობრივ შესრულებულია;**
- აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომლითაც შესაძლებელი იქნება კვლევითი საქმიანობებისა და მათი ინტერნაციონალიზაციის შეფასება - **ნაწილობრივ შესრულებულია;**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო ასევე რეკომენდაციები, რომელიც გაიცა მონიტორინგის ფარგლებში.

1. ჩამოყალიბებული იქნა დეტალურად სამაგისტრო და საბაკალავრო თემების ხელმძღვანელის ფუნქციები;
2. სამაგისტრო ნაშრომების შესრულების დაწყებამდე მოხდეს მის გაფორმებასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური გაცნობა სტუდენტთათვის, განსაკუთრებით გამოყენებული ლიტერატურის სწორად ციტირებასთან მიმართებაში, რაც შემდგომ გავლენას მოახდენს ნაშრომის შეფასებაზე;
3. სისტემური ხასიათი მიეცეს უნივერსიტეტის მხრიდან სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ ღონისძიებებს;
4. ,,აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლებელში არსებულ პრაქტიკასთან და მკაფიოდ აისახოს შეფასების მეთოდები, მექანიზმები და პასუხისმგებლობები, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით;
5. აკადემიური პესონალის საქმიანობის ყოველის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნას ანალიზის დოკუმენტი და ასევე, განხორციელებული უკუკავშირის ამსახველი დოკუმენტი/დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გამოთხოვა, თუმცა ექსპერტებმა ვერ ნახეს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების ფუნქციები, რაც აისახა დასკვნის პროექტში, ხოლო დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სწორედ ეს ფუნქციები გაწერილი, თუმცა ვინაიდან ცვლილებები განხორციელებული იყო ვიზიტის შემდგომ პერიოდში, საბოლოო დასკვნაში ეს აღარ ასახულა.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა გასაუბრება მაგისტრატურის სტუდენტებთან, სადაც დადგინდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებასთან დაკავშირებით, ისინი ნაკლებად ინფორმირებულები იყვნენ. გარდა ამისა, როდესაც ექსპერტების მიერ მოხდა შერჩევითობის პრინციპით სამაგისტრო ნაშრომების გადამოწმება, ადგილი ჰქონდა გამოყენებული

ლიტერატურის არასწორად ციტირების შემთხვევებს. სწორედ, აღნიშნულმა ინფორმაციამ განაპირობა მე-2 რეკომენდაციის გაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ აღნიშნულ რეკომენდაციასთან მიმართებით დააზუსტა, აჩენდა თუ არა ციტირებასთან დაკავშირებული მდგომარეობა პლაგიატის ეჭვს.

ექსპერტმა მოცემულ შეკითხვასთან მიმართებით განმარტა, რომ უნივერსიტეტს პლაგიატის შემთხვევების აღმოჩენის პროგრამა აქვს დანერგილი და შესაბამისად, ხდება ყველა ნაშრომის ამ პროგრამაში შესამოწმებლად გატარება. ასევე პროგრამასთან დაკავშირებით, ინფორმაციას სტუდენტებიც ფლობდნენ.
6.2 კომპონენტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო გამოგზავნილ დოკუმენტაციაზე და დისტანციური ვიზიტის დღის წესრიგზე მუშაობა, ნახა რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა სტრუტურული ერთეული - სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველო, რომელთან შეხვედრაც ვერ განხორციელდა, უნივერსიტეტმა ვერ უზრუნველყო აღნიშნული სამმართველოს თანამშრომლების დასწრება და ახსნა იმით, რომ სამმართველო იყო ახალი. შედეგად უფრო მეტი ყურადღება გამახვილდა აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაზე, თუმცა მაინც საკმარისი ინფორმაციის მიღება ვერ მოხერხდა. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ როგორც საბჭოს დამსწრეებისთვის ცნობილი იყო დაწესებულებაში ხორციელდებოდა კიდევ ერთი მონიტორინგის წარმოება, რომელიც შეისწავლიდა გარემოებებს უშუალოდ აღნიშნული ერთეულის საქმიანობასთან მიმართებით. რაც შეეხებოდა ექსპერტების მიერ ამ ნაწილში გაცემულ რეკომენდაციას და დაწესებულების გატარებულ ცვლილებებს ამ კომპონენტის ფარგლებში საავტორიზაციო ვიზიტის დროს მიღებული რეკომენდაციების შედეგად გატარებულ საქმიანობას, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით გაატარა რიგი ცვლილებები, რაც ასევე როგორც აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალის სესიებზეც დადასტურდა. ექსპერტმა გამოყო დაწესებულების კარგი პრაქტიკა სამეცნიერო შვებულების შესახებ, ასეევ ხაზი გაუსვა აკადემიის მხრიდან პერსონალისთვის მხარდაჭერის კარგ პრაქტიკებს, თუმცა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნულს მიეცეს სისტემური ხასიათი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა სიტყვა გადასცა ჯგუფის ექსპერტს, ნინო გორგიშაძეს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო დაწესებულების მუშაობა კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და აქ გადადგმული პროგრესული ნაბიჯები და მაგალითად მოიყვანა 2019 წელს დაწესებულების მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ბევრი საერთაშორისო დელეგატი იღებდა მონაწილეობას. ასევე დამატებით აღნიშნა, რომ ამ ნაწილში ავტორიზაციის ჯგუფის მიერ დაწესებულებას შესასრულებლად მიცემული ჰქონდა რეკომენდაციას სტრატეგიის შემუშავების შესახებ, რომელიც შესაძლებელს გახდიდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვას კვლევით საქმიანობაში. დაწესებულებამ კი გატარებული ცვლილებებით, შესაბამისი ღონისძიებებით და ნორმატიული აქტების ცვლილებებით, უნივერსიტეტმა აჩვენა, რომ ფიქრობს რაც შეიძლება მეტი საკუთარი პერსონალის ჩართვას კვლებით საქმიანობაში. ასევე აღსანიშვანი იყო ინფრასქტრუქტურის განვითარება კვლების მხარდაჭერისთვის, თუმცა ასევე დასძინა, რომ ამ ყველაფერს უნდა ჰქონოდა სისტემური ხასიათი.
მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო- კვლევითი და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, თუმცა გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული წესი არ იყო შესაბამისობაში აკადემიაში არსებულ პრაქტიკასთან. არსებულ წესში უნდა ყოფილიყო მკაფიოდ გაწერილი შეფასების მეთოდები, მექანიზმები, თუ რისი შეფასება ხდება აკადემიური პერსონალისთვის. შესაბამისად, ამ კუთხითაც,

დაწესებულებამ, რეკომენდაციის გაცემის შემდგე იმუშავა და გაატარა რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები. არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა შესწორებული შეფასების მეთოდები, თუმცა ვინაიდან ეს უკვე ვიზიტის შემდგომ იყო, მათი შესწავლა და შესაბამისად დასკვნაში ამ შეფასების ასახვა ვერ განხორციელდა.
სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ, მოითხოვა დასკვნაში მოცემული ფრაზის - ,,გაუგებრობის აცილების მიზნით" განმარტება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ გასაუბრების დროს აკადემიური პერსონალისთვის შეფასების წესი ცნობილი არ იყო. შესაბამისად, გაუგებრობას იმ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, როდესაც პერსონალმა არ იცოდა როგორ ფასდებოდა და რა მექანიზმები არსებობდა ამისთვის.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზანი იყო, ანალიზის დოკუმენტის საფუძველზე შემდგომ განხორციელებულიყო გარკვეული აქტივობები, რაც უნივერსიტეტის სამეცნიერო- კვლევით საქმიანობას შეუწყობდა ხელს. მსგავსი ანალიზის დოკუმენტი ექსპერტებს ვიზიტის დროს არ მიეწოდათ და გადაეგზავნათ შემდგომ, რომლებიც სამწუხაროდ არ იყო ფორმალიზებული.
ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ მე-6 სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ასევე ისაუბრა განსაზღვრულ რჩევებზე, კერძოდ:

- სასურველია თუ საბაკალავრო პროექტში განსაზღვრული იქნება სტუდენტისათვის კონკრეტული დავალება და დაემატება უფრო მეტი გამოთვლითი ან კვლევითი კომპონენტები;
- სასურველია სასწავლებელმა მოიკვლიოს სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების მიერ სწავლის შეწყვეტის მიზეზი და სასწვალებელმა უფრო აქტუალური აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამები განავითაროს, რაც უფრო გააძლიერებს სასწავლებლის კვლევით კომპონენტს და შესაბამისად მოამზადებს საფუძველს სადოქტორო პროგრამების დანერგვისათვის;
- კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი იზრუნებს სამეცნიერო გამოცემების ზრდაზე;
- კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ბიუჯეტს თან დაერთვება დეტალურად წარმოდგენილი ხარჯები კვლევების განხორციელების ნაწილში;
- სასურველია სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს საქმიანობა იყოს უფრო ეფექტური და აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს მეტი ცნობადობა მის საქმიანობასთან მიმართებით.

პირველ რჩევასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ სილაბუსებში არ ჩანდა კონკრეტული დავალებები, მოცემული იყო მხოლოდ ზოგადად. შესაბამისად, სასურველი იქნებოდა მათი მკაფიოდ განსაზღვრა და კვლევითი კომპონენტების დამატება.
რაც შეეხებოდა მეორე რჩევას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითადად სწავლების შეწყვეტის მიზეზი იყო ის, რომ სტუდენტების მიდიოდნენ შორეულ ნაოსნობაში. თუმცა, რადგან ამას ჰქონდა მასიური ხასიათი, უმჯობესი იქნებოდა უნივერსიტეტს მოეძია თუ რატომ წყვეტდა სწავლას სტუდენტი. შესაბამისად სასურველი იქნებოდა სამაგისტრო პროგრამებიც შემუშავებული ყოფილიყო იმგვარად, რომ შემდგომ სადოქტორო პროგრამების განვითარებისთვის შეეწყო ხელი.
მე-3 რჩევასთან დაკავშირებით განიმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა გარკვეული გამოცემები, თუმცა, სადოქტორო პროგრამის განვითარებისა და ჩამოყალიბების მიზნით სასურველი იყო მათი რაოდენობის ზრდა.
მე-4 რჩევასთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულებამ წარადგინა ბიუჯეტი, თუმცა, ექსპერტებს დასჭირდათ კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან კვლევითი ხარჯების გაგების მიზნით, შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა ბიუჯეტს თან დართვოდა ხარჯები კვლევების განხორციელების ნაწილში.
რაც შეეხებოდა ბოლო რჩევას, აღნიშნული საკითხი პრობლემას წარმოადგენდა დაწესებულებისთვის. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ექპერტებს არ ჰქონდათ

შესაძლებლობა შეხვედროდნენ სამმართველოს წარმომადგენლებს აღნიშნული წარმოების ფარგლებში., ხოლო დანარჩენ სესიებზე დაყრდნობით, აღმოჩნდა რომ პერსონალი არ ფლობდა ინფორმაციას სამმართველოს საქმიანობის შესახებ, მიუხედავად მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციისა დაწესებულებაში კვლევითი მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.
საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა, დააზუსტა, განხორციელდა თუ არა მეორე მონიტორინგი დაწესებულებაში.
ია მოსაშვილმა განმარტა, რომ მეორე მონიტორინგი განხორციელდა და იგი ძირითადად ეხებოდა სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოსა და მის საქმიანობას.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ექპერტთა თქმით დაწესებულებაში იყო ნაშრომების ციტირების პრობლემა, შესაბამისად, იგი დაინტერესდა კონკრეტულად რა ხასიათის პრობლემაზე იყო საუბარი. ასევე მან დააზუსტა არსებობდა თუ არა უნივერსიტეტში ციტირების დოკუმენტი და გაეცნენ თუ არა მას ექპერტები.
ექსპერტმა განმარტა, რომ ციტირების დოკუმენტი უნივერსიტეტში არ გამოიყენებოდა. რაც შეეხებოდა კონკრეტულ საკითხებს, ტექსტის ბოლოს მითითებული იყო გამოყენებული ლიტერატურა, მაშინ როდესაც თავად ტექსტში არ იყო მოცემული სქოლიოები.
დავით ბოსტოღანაშვილმა დააზუსტა ისწავლებოდა თუ არა უნივერსიტეტში აკადემიური წერა და რომელ საფეხურზე, რაზეც ექსპერტმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური წერა ისწავლებოდა საბაკალავრო დონეზე, თუმცა სამაგისტრო პროგრამებზე აღნიშნული კურსი დაწესებულების პროგრამებში არ ყოფილა.
საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ დამატებით დასვა კითხვა ამ საკითხთან მიმართებით და დააზუსტა ხომ არ ისწავლებოდა სამაგისტრო საფეხურზე კვლების მეთოდები ცალკე კურსად. პასუხად, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დაადასტურა რომ სამაგისტრო საფეხურზე ისწავლებოდა კვლევის მეთოდები, ხოლო საბაკალავრო საფეხურზე ჰქონდათ აკადემიური წერის კურსები. ექსპერტმა ია მოსაშვილმა დაამატა, რომ სამაგისტრო საფეხურის პროგრამებზე კვლევის მეთოდების კურსები პროგრამებში არ შეხვედრიათ.
სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო რამდენიმე საკითხზე, მათ შორის ერთ-ერთუ უმნიშვნელოვანესი იყო სტატუსჩერებული სტუდენტების რაოდენობა, ვინაიდან საბაკალვრო საფეხურზე ჰყავდათ 2322 აქტიური სტატუსის და 426 სტატუსშეჩერებული სტუდენტი, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე 81 აქტიური სტატუსის და 119 სტატუსშეჩერებული. შესაბამისად სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად იყო დანერგილი დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობა. მითუმეტეს, როცა დაწესებულებას ყავდა შორეული ნაოსნობის მეზღაურები.
დაწესებულების რექტორი მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და სხდომაზე დამსწრე პირებს განმარტა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად პროგრამა და საზღვაო განათლება პრაქტიკულ უნარებზე იყო დაფუძნებული, აუცილებლი იყო, უნივერსიტეტს სტუდენტებისთვუს ხელი შეეწყო. საქართველო არ გააჩნდა თავისი ფლოტი, შესაბამისად, შეუძლებელი იყო ყველ სტუდენტის ერთად გაშვება შორეულ ნაოსნობაში. აქედან გამომდინარე, სტუდენტების გაშვების დროს ხდებოდა მათი სტატუსის შეჩერება, ხოლო ჩამოსვლის შემდგომ ისინი კვლავ აგრძელებენ თეორიულ სწავლებას. აქედან გამომდინარე დაწესებულებაში სტატისტიკურად მრავლად იყო სტატუსშეჩერებული სტუდენტი.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში იყო საკმაოდ ბევრი ავტორიზებული პროგრამა, შესაბამისად იგი დაინტერესდა თუ რა უშლიდა მათ აკრედიტაციის მინიჭებაში ხელს.

დაწესებულებას წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე მიმდინარეობდა მუშაობა და წლის ბოლომდე ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად მომზადებული იქნებოდა პროგრამები და წარედგინებოდა საბჭოს აკრედიტაციის სტატუსის მოპოვების მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებზე და აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომი ძირითადად ეფუძნებოდა საცურაო პრაქტიკის ანგარიშის წარდგენას. აუცილებელი დავალებები გაწერილი იყო სააღრიცხვო წიგნაკში, რომელიც იყო დამტკიცებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ. შესაბამისად, სილაბუსებში დეტალურად არ იყო გაწერილი დავალებები, მასში მოცემული იყო ის სპეციფიკა, რაც სტუდენტს უნდა აეთვისებინა პრაქტიკის დროს.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ ყურადღება გაამახვილა ექპერტების რჩევაზე, სადაც მოცემული იყო, რომ სასურველია თუ საბაკალავრო პროექტში განსაზღვრული იქნებოდა სტუდენტისათვის კონკრეტული დავალება და დაემატებოდა უფრო მეტი გამოთვლითი ან კვლევითი კომპონენტები და დაინტერესდა თუ რით პასუხობდა დაწესებულება აღნიშნულ რჩევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, აღნიშნული რჩევა უნივერსიტეტის ყველა პროგრამაზე იქნებოდა გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა სადოქტორო პროგრამაზე და აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში საზღვაო აკადემია განიცდიდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისს სიმცირეს, ხოლო ბოლო წლებში აღნიშნული შეიცვალა, უნივერსიტეტმა შეიძინა სიმულატორები და გაამდიდრა ლაბორატორიები, შესაბამისად შეიქმნა სადოქტორო პროგრამის ჩამოყალიბების წინაპირობები. აღნიშნული მიმართულებით მუშაობდა სამივე ფაკულტეტი. სადოქტორო პროგრამის შექმნის დასაწყისში უნივერსიტეტი გეგმავდა უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას.

სხდომის თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს პოტენციური პარტნიორი უნივერსიტეტების დასახელებისკენ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემია ამ მიმართულებით მუშაობდა ფლენსბურგის და ვისმარის უნივერსიტეტებთან გერმანიაში და ბულგარეთის სამხედრო აკადემიასთან. მუშაობის გაგრძელება იგეგმებოდა 2021 წლისთვის, რაც გამოწვეული იყო მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო. საზღვაო აკადემიაში ასევე დამატებით მიმდინარეობდა სპეციალური საწვრთვნელი აუზის მშენებლობა, რომელიც იყო მულტიფუნქციური და ულტრათანამედროვე და რომლის დამთავრებაც იგეგმებოდა წლის ბოლოსთვის. აღნიშნული გამოყენებული იქნებოდა ორი მიმართულებით, ესენია, მეზღვაურთა უნარების წვრთნა და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება.

საბჭოს წევრმა, თამარ იოსელიანმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინების კუთხით აკადემიამ გადაგა ქმედითი ნაბიჯები და მას მუდმივად გვერდში ედგა საზღვაო ტრანსპორტირების სააგენტო. მოხდა წესდებაში ცვლილებების შეტანა და შეიქნა ცალკე ცენტრი, რომელიც მოემსახურებოდა სამეცნიერო მიმართულების განვითარებას. სააგენტო დაფინანსების კუთხით მოლაპარაკებებს ახორციელებდა აჭარის მთავრობასთანაც და შედეგად აკადემიისთვის გამოიყო 1 მილიონი ლარი, საიდანაც დიდი ნაწილი მოხმარდებოდა სამეცნიერო მიმართულებებს. ზოგადად აკადემია გეგმავდა გაფართოებას და ოქტომბერში პროფესიული მიმართულებით დასრულდებოდა ფოთის საზღვაო სასწავლებლის შენობა, რომელიც კეთდებოდა პრემიერ-მინისტრის ინიციატივით. ასევე ამ ფილიალში განთავსდებოდა მეცნიერებებისა და ინოვაციების ცენტრი, რომელიც წესდებით იქნა დაფუძნებული.

საბჭოს წევრმა დააზუსტა ინგლისური ენის სწავლების დონე აკადემიაში, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ინგლისურ ენას. დაახლოებით 30 კრედიტამდე ეთმობოდა მას,

რადგან სტუდენტთა უმეტესობა საქმდებოდა უცხოურ გემებზე. ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობდა მრავალ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და შესაბამისად სთავაზობდა სტუდენტებს გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვნებას.
ექსპერტმა, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა საკმაოდ კარგი პროექტი, რომლის ფარგლებშიც, ხდებოდა დარგის მიმართულებით ტექნიკური თარგმანი.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე : 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება
მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (ს/კ: 245427337) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 15:02 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
სხირტლაძე ნუგზარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ